ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 მაისის N 02-198 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის ოქმი N2

(ქ. თბილისი, დ. ბაზოვის (ყოფილი იერუსალიმის) ქუჩა №12, N12ა-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტის კონკურსი)

ქ.თბილისი **25.06.2015**

დღის წესრიგი:

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს თავმჯდომარის **2015 წლის 25 მაისის N 02-198 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის** მიერ დ. ბაზოვის (ყოფილი იერუსალიმის) ქუჩა №12, N12ა-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტის შესყიდვის კონკურსში (N1696) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვა.

სხდომას ესწრებოდნენ ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" **2015 წლის 25 მაისის N 02-198 ბრძანების** საფუძველზე შექმნილი კომისიისა და აპარატის შემდეგი წევრები:

კომისიის თავმჯდომარე: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **მერაბ ფოლადაშვილი;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ფინანსური-მენეჯერი - **გრიგოლ ცერცვაძე;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის არქიტექტორი - **ნინო ნოზაძე;**

აპარატის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **გვანცა ბერუჩაშვილი;**

აპარატის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის პროექტების კოორდინირების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **ალექსანდრე მაღრაძე;**

აპარატის წევრი/სხდომის მდივანი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" იურისტი - **სალომე სართანია.**

კომისიამ განიხილა:

1) კომისიის თავმჯდომარემ მოახსენა კომისიას, რომ დ. ბაზოვის (ყოფილი იერუსალიმის) ქუჩა №12, N12ა-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტის შესყიდვის კონკურსში N1696 მონაწილეობა მიიღო ერთმა კონკურსანტმა: **შპს ,,არქინდუსტრიამ"** (იხ.დანართი N1: აქტი N1 24/06/2015)
2) კომისიის თავმჯდომარემ მერაბ ფოლადაშვილმა კომისიის სხვა წევრებთან ერთად განიხილა შპს ,,არქინდუსტრიის" მიერ წარმოდგენილი ქ. თბილისი, დ. ბაზოვის (ყოფილი იერუსალიმის) ქუჩა №12, N12ა-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტის საკონკურსო წინადადება.

3) კომისიისა და აპარატის წევრების მიერ წარმოდგენილი იქნა ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ (იხ.დნართი N2).
4) კომისიის წევრმა გიორგი მაღრაძემ წარმოადგინა განცხადება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ და სთხოვა კომისიის თავმჯდომარეს აღნიშნულ კონკურსში წევრობის შეწყვეტა.

კომისიამ დაადგინა:

1) კომისიის წევრს - გიორგი მაღრაძეს შეუწყდეს წევრობა N1696 კონკურსში.

2) შპს ,,არქინდუსტრიის" მიერ წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესი"-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3) შპს ,,არქინდუსტრიის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოითხოვს დაზუსტებას. კერძოდ, დასაზუსტებელია პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ წინადადებაში გამოცდილების შესახებ ხსენებული ინფორმაცია რომელ პროექტებს ეხება. დაზუსტება უნდა მოხდეს პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების მეშვეობით.

4) საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს დასაზუსტებელი დოკუმენტაციის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^2 მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესი"-ს შესაბამისად და პრეტენდენტს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან დაზუსტებისათვის მიეცეს 3 სამუშაო დღე.

ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე - **მერაბ ფოლადაშვილი**

კომისიის წევრი - **გრიგოლ ცერცვაძე**

კომისიის წევრი - **ნინო ნოზაძე**

აპარატის წევრი -**ალექსანდრე მაღრაძე**

აპარატის წევრი - **გვანცა ბერუჩაშვილი**

აპარატის წევრი/სხდომის მდივანი - **სალომე სართანია**

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 მაისის N 02-198 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის აქტი N1

(ქ. თბილისი, დ. ბაზოვის (ყოფილი იერუსალიმის) ქუჩა №12, N12ა-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტის კონკურსი N 1696)

ქ.თბილისი **24.06.2015**

დღის წესრიგი:

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს თავმჯდომარის **2015 წლის 25 მაისის N 02-198 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის** მიერ დ. ბაზოვის (ყოფილი იერუსალიმის) ქუჩა №12, N12ა-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ (N1696) კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდა 2015 წლის 24 ივნისს, 17:30 წუთზე, ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდ"-ში, კონკურსანტის თანდასწრებით.

სხდომას ესწრებოდნენ ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" **2015 წლის 25 მაისის N 02-198 ბრძანების** საფუძველზე შექმნილი კომისიისა და აპარატის შემდეგი წევრები:

კომისიის თავმჯდომარე: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **მერაბ ფოლადაშვილი;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ფინანსური-მენეჯერი - **გრიგოლ ცერცვაძე;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის არქიტექტორი - **ნინო ნოზაძე;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის" ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის საინჟინრო შეფასების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **გიორგი მაღრაძე;**

აპარატის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **გვანცა ბერუჩაშვილი;**

აპარატის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის პროექტების კოორდინირების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **ალექსანდრე მაღრაძე;**

აპარატის წევრი/სხდომის მდივანი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" იურისტი - **სალომე სართანია.**

კომისიამ განიხილა:

1) კომისიის თავმჯდომარემ მოახსენა კომისიას, რომ დ. ბაზოვის (ყოფილი იერუსალიმის) ქუჩა №12, N12ა-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტის შესყიდვის კონკურსში N1696 მონაწილეობა მიიღო ერთმა კონკურსანტმა: **შპს ,,არქინდუსტრიამ"**.

2) **შპს „არქინდუსტრიის“** მიერ წარმოდგენილი იქნა საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დალუქულ კონვერტში ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით დადასტურებული და ელექტრონული ვერსია- კომპაქტური დისკის - CD სახით.

ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე - **მერაბ ფოლადაშვილი**

კომისიის წევრი - **გრიგოლ ცერცვაძე**

კომისიის წევრი - **ნინო ნოზაძე**

კომისიის წევრი - **გიორგი მაღრაძე**

აპარატის წევრი -**ალექსანდრე მაღრაძე**

აპარატის წევრი - **გვანცა ბერუჩაშვილი**

აპარატის წევრი/სხდომის მდივანი - **სალომე სართანია**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 მაისის N02-198 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისიის და აპარატის შემდეგი წევრები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში დ. ბააზოვის ქ. N12, N12ა-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტის უ/ნ 1696 კონკურსში მონაწილე კონკურსანტთან - **შპს „არქინდუსტრიას"**-თან.

ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე - მერაბ ფოლადაშვილი

კომისიის წევრი - გრიგოლ ცერცვაძე

კომისიის წევრი - ნინო ნოზაძე

აპარატის წევრი - სალომე სართანია

აპარატის წევრი -ალექსანდრე მაღრაძე

აპარატის წევრი - გვანცა ბერუჩაშვილი

25.06.2015

ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდის"

თავმჯდომარის 2015 წლის 25 მაისის N02-198 ბრძანებით

შექმნილი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ მერაბ ფოლადაშვილს

ამავე კომისიის წევრის გიორგი მაღრაძის

განცხადება

24.06.2015

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდის" თავმჯდომარის 2015 წლის 25 მაისის N02-198 ბრძანების საფუძველზე, წარმოვადგენ ამავე ბრძანების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიის წევრს. N1696 კონკურსში მონაწილე პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების გახსნისას, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთ პრეტენდეტს წარმოადგენს შპს არქინდუსტრია. გაცნობებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის საფუძველზე ინტერესთა კონფლიქტში ვარ შპს არქინდუსტრიასთან, რადგან ნათესაურ კავშირში ვიმყოფები კომპანიის დირექტორ დავით მაღრაძესთან.

გთხოვთ, შემიწყვითოთ წევრობა ქ. თბილისში, დ. ბააზოვის ქ. N12, N12ა-ში მდებარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტის კონკურსში.

პატივისცემით,

ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდის"

ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის

საინჟინრო შეფასების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი

გიორგი მაღრაძე